



ქართული  
საერთაშორისო  
სამართალი

აქვს თუ ავი არ ვუნთღმარა  
კარგს სახელად რა დაუარქო?

# თენი

საბიძისა და იუმორის ჟურნალი

136 / 2  
1993



ნ.ბ. ბ. ლომიძისა

— შოშიაჯან, ჯიგარო, ღაგაგვიანდა, პრივატიზაცია  
გაუაკეთე!



პოლიტიკაში წაღკეპა ვეღაფერი... უფრო სწორად პოლიტიკანობამ.

პოლიტიკაზე მსჯელობს ვეღა, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, განათლების ცენტისა, სოციალური კუთვნილებისა, პოლიტიკური მრწამსისა...

პოლიტიკაზე მსჯელობს მოხუცი და ასალგაზრდა, პათოსანი და უპათოსნო, ნიჭიერი და უნიჭო, ნამდვილი პოლიტიკოსი და ყურით მოთრეული პოლიტიკოსი, მამლარი და მშვიერი, ნამუსიანი და უნამუსო, ნაკითხი და უწიგნური, წიგნის გამყიდველი თუ სამშობლოს გამყიდველი...

მსჯელობენ შინ და გარეთ, პურის რიგში, ვაზეთის კიოსკთან, ლიფტში, ტელეფონში, ქეიფში, ქელეხში, საზოგადოებრივ ტუალეტში...

მსჯელობენ დარში თუ ავღარში, სვატში თუ თქეშში, ქარში თუ შტილში, თოვლსა თუ სეტყვაში...

გაოგნდა, დაოსდა ხალხი, წიგნი ადარ უნდათ, თეატრი და სანახაობა. დადიან შემულილი სახეებით, გადმოკარკლული თვალებით, აგზნებულ-აფორიაქებულნი. იგინებინ, იღრინებინ, იფურთხებინ...

მგონი დავიღუპეთ!

რა ვითხრათ, ხალხო, რით გიშველოთ?

არის კი გზა ხსნისა? ალბათ, არის. ჩინელებმა ბელურები გაწვევტეს, გერმანელებმა დანგრეული ქვეყანა ააგვევტეს, შავდ ჭირი მოვსკეთ, სპიდს შევებრძოლოთ...

ბოლოსდაბოლოს პოლიტიკური მოვიშორეთ და პოლიტიკურ ფსიქოზს ვერ მოვერუეთ?

ფსიქოზმა ფსიქიატრია გამახსენა და...

- მე ექიმი ვარ, ფსიქოთერაპევტი, - შეუბნება პოლიტიკომანით დაინტერესებული (ისევ პოლიტიკოსი იქნება?) ნაცნობი ექიმი, - და ჩემებურ სტატისტიკურ დაკვირვებებს ვახდენ. დაუკვირდით, რა სურათი გვაქვს ამჟამად პაციენტების ე. ი. იმ ადამიანებზე 70 პროცენტზე მეტი, ვისაც ნერვული სისტემის უსაღებო გადახრა აღენიშნება, სერიოზულად არის პოლიტიკით შეპერობილი. პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველთვის არსებობს ფაქტორები, რომლებიც ტოტალურ გამდიდრებაზე ანებელ გავლენას ახდენენ ფსიქიკაზე. პოლიტიკოსობის საყოფაცხოვრებო ატმოსფერო დიდ საშიშროებებს უქმნის ისეთ ფაქტორს სამყაროს, როგორიც ადამიანის სიცოცხლის, თქვენც იცით ხშირად რა სახეს ღებულობს საზოგადოებრივი პოლიტიკაზე - უკმეზი, გააყვებული კამათი, წყევლა, შეურაცხყოფა, აღშფოთება, კარის გაჯახუნება. მე გთხოვ ჩვეთ თავი შეიკავოთ, ძალიან ღრმად ნუ შეტოპავთ პოლიტიკურ დისკუსიებში!

გაიგეთ, ხალხო, ძალიან ნუ შეტოპავთო. არა, თუ ინცლამაინც სველ ზეწრებში გინდათ გახვევა და ნამდვილი ლეონობა, კი, ბატონო, შეტოპეთ...

ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს!

ღმერთო, შენ იხსენი ჩვენი სულელები!

კობა გივიშვილი



- აი, უკულო, წად ბაზარში!

- მაგ ფულსო, აქ კური კიყილოთ. და თუ გვეყო...

მერე წავიდეთ ბაზარში!

ნახ. ა. ლოლუასი


თემა ბ. მერაპალიძისა



— ქალბატონო, მაგ მიკროფონს რომ ღეჭავ ფრანგულ ეუუერკასავით, მოგვეცით საშუალება, ჩვენც გავილესოთ ენა და გადმოვაფრქვიოთ ბრძნული აზრები!

### აოცხური იუბილეა

ბოლო გამოცდა მოვასრჩე  
უნებლიეთ თუ ნებითა,  
მომავალს დიდი იმედით  
გუუერებ — მოთმინებითა.  
თავს არ ვიწუხებ, მაშალო,  
ახალ-ახალის ძიებით,  
ზომ ვიცი, რომ ვარ მდიდარი  
დედით, მამით და ძიებით.  
ძალიანა გთხოვ, მაშალო,  
ერთადერთ შვილის მამასა,  
ოცი ათასი მანეთი გამომიგზავნე  
აჯანსაღ,  
ცოტა ხილი და ლობიო, ნიგოზიც  
• გამოაყოლე,  
ამ ფვის ბოლოხოვის ჩამოდი,



უსიტყვოდ

ცოლს ვირთამ, ნულა აყოვნებ.  
არ დაგავიწყდეს გოჭები,  
ინდაურები, ქათმეჭოქნი  
თან „თეთრიც“ გამოაყოლე  
ორნახად ჭაჭით ვაუთბები,  
საწებულა და სუნელი, დაფნის  
ფოთოლი, შწვანბილი...  
სხვა არაფერზე შეწუხდე — უკვე  
ვიყიდე ვანილი!

ალექსანდრე გორბიშვილი

## ნაილი მამას

დღენიდაგ თარიღებთან „მამანი“  
მას აქვს სშირი,  
სულ წინ უღევს მაგიდაზე  
კალენდარი გადაშლილი,  
ფურცლავს, ხინჯავს ის  
კალენდარს,  
სურს შეიტყოს ზუსტად,  
სრულად, —  
ვინ რომელ წელს დაიბადა,  
ვინ რომელ წელს აღესრულა...

• • •

გამოთვალა, — იუბილის როდის  
დაპქრავს საათი:  
არის 201, 251 არის 50-ც!  
არის 75-ც! ბოლოს 100-ც  
ფოფინობს!  
1001 — რომლის არსებობა სამს  
შეიტყოს მსოფლიომ!  
არც ერთ ამ რიცხვს ის უღეჭსოდ  
არ გაუშვებს არაფრით,  
5-ს, 0-ს ბოლოციფრებს ზვდება  
როგორც ჩქერებს ქარაფი, —  
რითმავს, აღარც თავი ახსოვს,  
აღარც თავის ჯალაბი!..

• • •

მან სხვათა იუბილეებს ჭკუის  
რამდენი მუხტი  
შეაქლა, ზედ დაახარჯა რამდენი  
წამი, წუთი,  
მაგრამ არს მოსაყვედურე თავისი  
იღბლის მუხთლის, —  
თვითონ მას იუბილის, საწუხ  
არს, არვინ უხდის;  
ჰო, არვინ უხდის, მის გულში  
შწარე იარა ჩნდება,  
რომ სხვისი „მაზიარები“  
უზიარები რჩება...

გიორგი შათაბაძე

საქართველოს  
მემკვიდრეობის  
ზღვრილი მემკვიდრეობა



# საბჭოთა სამართალი

## გურამ ფანჯიკიძე

იუბილეს მივულოცავ ფანჯიკიძეს, ძვირფას გურამს!  
 ვლოცავ ქვეყნად იმის მოხვლას, დამკვიდრებას  
 ძირქართულად!

გზას ყოველთვის უნათებდა მზის ღვთაება — ჰელიოსი!  
 აქტიურად მოძრაობდა უძრავობის პერიოდშიც!..  
 დაქრის, როგორც მეტეორი, უბრძვის ყველა ანტიქრისტეს!  
 დროს არ კარგვენ მარტო თინი: დრო და გურამ  
 ფანჯიკიძე!

მისხა „თვალსა პატიოსანს“, „აქტიური მზის  
 წელიწადს“,  
 „მეშიდე ცას“, „სპირალს“, „... ბორბალს“ უთვალავი  
 მკითხველი ჰყავს!

ყველამ, ტაჯიკების გარდა, — თარგმნა იგი კარგად,  
 სრულად  
 (ამ წუთებში ფანჯი გურამ ითარგმნება ტაჯიკურად!..)  
 არის დიდი პუბლიცისტიც და მოღვაწე საზოგადო,  
 სპორტსმენია, სპორტით იწვის (მე ამაზე გეტყვით  
 სხვა დროს).

შექმნა საზოგადოება დავით აღმაშენებლის  
 და იმისი გამგეობის თამუჯლიმარეობაც შეენის!  
 ესმარება ყველა მთხოვნელს და არავის არ ამადლის  
 ქართულ მწერალთ წინამძღოლი, რედაქტორი  
 „შარავანდის“!

თავის ბირთვულ ენერჯიას მამულისთვის ომებს ახმარს!  
 ჯერ არ შეუსვენებია, შეისვენებს აწი აღარც!  
 არის ორჯის ოქროკაცი, სამშობლოს მტრებს  
 უჯანყდება,

და „სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და უჩანს  
 მღერად!“

მსოფლიო აქვს შემოვლილი, განა ერთხელ, ბარე ასჯერ  
 კიდევ ბევრჯერ შემოვიღის და ბრწყინვალე წიგნებს  
 დაწერს!

მართლის თქმისთვის, მართლის ქმნისთვის აკრიტიკებს  
 ლანძღვს, დევნებს,  
 დაატყვევს თავზე რისხვა და შავი დღე დააყენებს!..  
 მიუჩინებს „აგენტებს“, „საქმეებიც“ შეუყენებს, —  
 ვერ მოსჭამებს მას ფეხებიც, — ღვას მტკიცედ და  
 შეურყევლად!

ძალ-ღონე აქვს ასი ლომისი.. სამარანის თანაშემწედ  
 იყო შარშან ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე!  
 არის უხვი მასპინძელი და სტუმარი სასურველი!  
 მის სატირას, მის იუმორს სხვა ხიბლი აქვს, სხვა  
 სურნელი!..

სამსოფლიოდ აღინიშნოს იუბილე ფანჯიკიძის:  
 ფიჯის კუნძულებს ეწოდოს კუნძულები ფანჯი-ფიჯის  
 ეთხოვოს ამბარცუმიანს, — გამოცეს გალა ტირაფით  
 გურამის ტომეულები სუყველა გალაქტიკაში!  
 რაჭის სოფელ ახალსოფელს საგურამო უნდა ვარქვათ  
 (ვიცი, ზოგ-ზოგს გააცოფებს ეს მილოცვა, მაგრამ  
 — რა ვქნა!)

ღმერთი ერთი იყოს მუდამ მისი მფარველ-მწყალობელ  
 ღმერთს თუ ნებავს, ღმერთს თუ უნდა, — გაამზადოს  
 სანობელოდ!  
 ზაურ ბოლქვაძე

# შინაწილი ასკაფტყრიალ!

საქართველოს მოხალისე მწერალთა დამოუკიდებე-  
 ლი ასოციაცია „სიტყვას ვიტყვი“ საბაზრო ეკონომიკა-  
 ზე გადასვლასთან დაკავშირებით ცდილობს სულ ახალ-  
 ხალი მეთოდების ცხოვრებაში დამკვიდრებით გამოი-  
 სოს საარსებო საშუალება.

მისახალმებელია, რომ ასოციაციამ ამ რამდენიმე  
 დღის წინ საფრანგეთისა და გერმანიის დიდ ფირმებთან  
 ხელი მოაწერა ორწლიანი ბარტერული ურთიერთობის  
 ხელშეკრულებას.

ქართველი მოხალისე მწერლები ფრანგულ და გე-  
 რმანულ კონცერნებს მიაწვდიან მძაფრ სიუჟეტებს, ორ-

იგინალურ რითმებს, მხატვრულ სახეებს, დაძაბულ  
 ტექტურ კოლიზიებს, მაღალ მხატვრულ შედარებებ  
 ფსიქოლოგიურ მიგნებებს, ეპითეტებს, მეტაფორებს,  
 თრი ლექსისა და ვერლიბრის მახალას.

თავის მხრივ ფრანგული და გერმანული კონცერნ-  
 მოგვანჯდიან დიდი რაოდენობით კარაქს, გამოცე-  
 პურს, რძის ფხვნილს, შაქარს, ზეთუნის ზეთს, საპ-  
 ასანთს, ძეხვსა და სხვა პროდუქტებს. სულ მალე შე-  
 ლება წარმატებით გადაიჭრას ტუალეტის ქაღალდის  
 წოდების პრობლემაც.

გურამ ფანჯიკიძე



— ამას გულისხმობენ, როცა ამბობენ, საბაზრო ეკონომიკა კარზეა მომდგარიო?!

### ძმალ გურამ!

სიტყვით გახსული სიტყვის კონსტრუქციის, რწმენით ლეწავ მწერლურ კალოს, — კვლავაც „გეთვალპატიოსნოს“, გებრწყინოს და „გვსპირალოს“!

გვირგვინს „შარავანდიც“ გადგამს, არ მორჩილებ არცერთ კანონს, — ბუშ-ბუიკერს კი არა და კლინტონს უნდა მოგესალმოს.

გძრავს საქვეყნო საქმე ნადი, ვინ ავიხვევს ვაჟკაცს თვალებს, — მახსოვს, რვა ბოთლ ღვინოს სვამდი, თუ გაჭირდა, ცხრახაც დალევ!

ჰფლობ „ლიტ. ვაზუთს“,  
„ციხკარს“,  
„მნათობს“,


შენთვის ყვავის ბაღში ჩუმი, —  
ღმერთმა ხელი მოვიმართოს  
საქართველოს სამსახურში!

მორის ზოსნიშვილი



უსიტყვოდ

ნახ. 6. სოღაღისა



უსიტყვოდ

# მოციქვანი

დილით თეთრია ჰაერი უწონო, -  
 არ გჯერა? არ გჯერა მართლა?!  
 ვისკად ქცეულა მდინარე ჰუბონი,  
 ღვინოდ - მდინარე მარნას.  
 ლუდივით ფვითელ ზღვაში კრეისერს  
 მიჰყვება თეთრი ქაფი,  
 ყელზე გებზევა, როგორც კეისარს,  
 ქარი თუ ლამაზი ქალი!  
 ... თეთრია დილა. ღამე გაათიე,  
 არ იქცა წვიმა არც რახად.  
 მაღაზიასთან, სუთი საათია,  
 პურს უცდი, რიგში დგახარ!  
 ერს შეეყარა - გულადს და პურადს -

ეს პურის რიგი - თითქოს სახადია!  
 ... თან ჯიბით ვატარებთ ღვინის  
 სურათს -  
 დახეულ თუმბიანებს ახატია!  
 გვაწვალებს ზენა თუ ქვენა ქარი,  
 სხვისი გასაჭირი არად გვენადვლებს!  
 ხელფასის მიღება, როგორც შაქარი,  
 როგორც კარაქი, ისე გვენატრება!  
 ... მაღაზიის წინ ამობოქრდა მოედანი -  
 ვაშა! გვეშველა! პური მოიტანეს!

გიორგი ჩარკვიანი

# გვერდები - ჟურნალი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

პატივცემულ „ნიანგო“! გთხოვთ განგვი-  
მარტოთ: რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს  
და სადაური სიტყვები: აბდიკაცია, აგორა,  
აზარტი, ალიბი, აგრეთვე: შიზოფრენია, ფა-  
შიზმი, პარანოია, ალარმისტი, რედაქცია?

## გოგოლა ცისიაშვილი

### პვირფასო გოგოლა!

**აბდიკაცია** - ლათინური სიტყვაა, მე-  
ფის ტანტიდან გადაღობას, ხელისუფლებაზე  
უარის თქმას ნიშნავს... ჩვენში თუ ვინმემ ხე-  
ლისუფლებაზე უარი თქვა და აბდიკაცია მო-  
ახდინა, იმაზე იტყვიან, აბდალი კაციაო. შე-  
იძლება ამიტომაც არის, რომ საქართველოს  
პრეზიდენტყოფილი კვლავაც აცხადებს, რომ  
პრეზიდენტია და უარს არ ამბობს ხელისუფ-  
ლებაზე.

**აგორა** - ბერძნული სიტყვაა, მოედანს  
ნიშნავს, ხადაც წინათ კრებები იმართებოდა,  
თბილისში ასეთი ადგილი „რიფა“, ხანდახან  
„უოგზლის“ მიმდებარე მოედანიც. აგორა, ალ-  
ბათ, შიტინგის აგორებსაც ნიშნავს.

**აზარტი** - ფრანგული სიტყვაა - თავ-  
დავიწყებით გატაცება რაიმეთი, ვთქვათ, პრე-  
ზიდენტობით, მესიობით, ნათელმზილველო-  
ბით, პოეტობით, მთარგმნელობით, დოქტორ-  
პეცნიერობით, ანდა ყველაფრით ერთად.

**ალიანსი** - ფრანგულია - კავშირი,  
ურთიერთობა, მაგალითად, სოციურთი რედაქ-  
ტორის ან რედაქტორის მოადგილის კოოპე-  
რაციული ალიანსი სოციურთ გროზნოს მე-  
ბენზინე საქმოსნებთან.

**ალიბი** - ფრანგულია - ბრალდებულის  
უდანაშაულობის დასაბუთება, ემყარება მტკი-  
ცებას, რომ ბრალდებული ვერ მოიღებდა მო-  
ნაწილეობას ბოროტებაში, ვინაიდან შიხი ჩა-  
დენის მომენტში იგი სხვაგან იმყოფებოდა.  
მტკიცებად, ბოროტობაზე და მ. ბ. და ა. ბ. ა.  
ლისში ჩიქოვანს ქეჩიქე ადრის კი მისი

მთავარი ორგანიზატორები გროზნოში იმყო-  
ფებოდნენ.

**შიზოფრენია** - ბერძნული სიტყვაა.  
„შიზო“ - ვრეხავ, ვხლუნ, „ფრენ“ - გონება,  
აზრი. შიზოფრენიის დროს იხლინება გონება;  
ხოლო გონების გახლენას ერის გახლენა მო-  
ხდევს, კუთხე - კუთხეს გადაეკიდება, სოფე-  
ლი - სოფელს, და - ძმას, შვილი - მამას  
(იხ. დღევანდელ საქართველოში).

**ფაშიზმი** - იტალიურია, უკიდურესად  
რეაქციული, პოლიტიკური მიმდინარეობა გა-  
ხლავთ. ფაშიზმისათვის დამახასიათებელია  
უკიდურესი შოვინიზმი, რასიზმი, დემოკრა-  
ტიისა და თავისუფლების მოსპობა. საქართ-  
ველოშიც მოინდომეს ფაშიზმის დამყარება,  
მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდათ.

**პარანოია** - ბერძნული სიტყვაა - სი-  
გიფე, ფსიქიკური დაავადება, დამახასიათებ-  
ელია ბოდვები, პალუცინაციები, გენვენება  
რომ ღმერთი ხარ, ხოლო ვინც შენი ტკუისა  
არაა, მტერია შენი და შენი სახელმწიფოსი,  
ფიქრობ, რომ კანონი, ეს შენა ხარ, სახელ-  
მწიფოც შენა ხარ, ასეთი კაცი განსაკუთრე-  
ბით საშიშია, თუ იგი ქვეყნის სათავეში მო-  
ექცა.

**ალარმისტი** - ფრანგული სიტყვაა -  
პანიკორი, შეუმოწმებელი ხმების გამავრცე-  
ლებელი, მაგრამ საქართველოში, სადაც ყვე-  
ლაფერი ორიგინალურად ხდება, ალარმისტე-  
ბად გვევლინებიან ცალკეული გაზეთების  
კოლექტივები. რედაქტორების გვარებს ამჯე-  
რად არ დავასახელებთ...

**რედაქცია** - ფრანგული სიტყვაა, ად-  
გილსამყოფელი გახლავთ იმ კოლექტივისა,  
რომელიც გამოსაცემად ამზადებს გაზეთს ან  
ჟურნალს. ჩვენი რედაქციის ადგილსამყოფე-  
ლია პირდაპირ „ნიანგის“ ხახა, ვისაც სურ-  
ვილი აქვს, მობრძანდეს!

„ნიანგის“ ხახელი ზ. შ. შ. შ.

600/47

თბილისის  
გრაფიკის

ნ.ბ. ვ. კუჭიანი



უსიტყვოდ



შპრნალი „ნიანანი“, № 8 (1882). აბრილი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

შაჯიბი ადელქორი ზაშრ მონქაპან. სახელქითი კოლეჯია: ზურაან ასაძე, ჰახე ამაჩეხი, ნინო ზარია, ბეგან თემაძე, ვახუ დიდუა (მხატვარ-რედაქტორი), ვახუ დიმიტე, ნიდაჩ მადონია, აგეან მხვედიანე, ვახუ პეტრიაშვილი, იდექანძეჩე ხან-ხანა, ზეგან ხანარუდიანე (მთავარი რედაქტორის მოადგილე, გენერალი დირექტორი), მხედალ ქვდიანი, ლეჩო მანტლიანე, ჰანუდ მარკვიანი, თამარ წავწავიანი, ალექსი ჰაქობიანი. ტექნიკური რედაქტორი გიორგი დუნდუა. გადაეცა ასაწყობად 11. 05. 93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 06. 07. 93 წ., ქალაღის ზომა 60x90<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ფიხ იტარი მხეჭლი ფურცელი 1, საადრეველ-საგამომწველო თამაზი 1, საქართველოს ეტრნალ-გაზეთების გამომცემლობა „საშობლოს“ სტა მბა. შეკვ. № 697. ტირაჟი 21 500. ეტრნალი გამოდის თვეში ორჯერ. ეტრნალი რევისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, რევისტრაციის № 0606. რედაქციის მხანართაი: 550008, თბიღია-მ, რუსთავეღის პრ. № 42. ხელმეტიტო ტელეფონი: 93-49-32, 93-76-69. ანდექი 78227.

ფანი 25 ქაჰონი